ჰოლოკოსტის სწავლება

მესამე ნაწილი

ბოშები, ისევე როგორც ებრაელები, მიჩნეული არიან ჰოლოკოსტის მსხვერპლად. წინამდებარე რესურსი ეძღვნება მათი მდგომარეობის გაცნობას და თანამედროვე ანტი-ბოშური რასიზმის გააზრებას.

ბოშები მეორე მსოფლიო ომის დროს

ბოშები შუა საუკუნეებიდან მოყოლებული იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი. მათ მიმართ სტერეოტიპები აზიიდან ევროპაში მიგრაციიდან იწყება. მათი მუქი კანის ფერისა და განსხვავებული გარეგნობის გამო ევროპელებმა ისინი თურქებთან გააიგივეს, რამაც მათ მიმართ სიძულვილი წარმოშვა. თუმცა სამხრეთ ევროპაში ეს სტერეოტიპი მალევე გაქრა, რადგან სამხრეთის ქვეყნებს ნამდვილ თურქებთან ადრევე ჰქონდათ კონტაქტი და განსხვავებაც მალევე დაინახეს, თუმცა უფრო ჩრდილოეთით, გერმანულად მოლაპარაკე ხალხში, რომლებსაც აზიასთან ფაქტობრივად არ ქონდა შეხება, ბოშების მიმართ ცუდი დამოკიდებულება გაგრძელდა. ეს ძალიან ჰგავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემორჩენილ სტიგმას, რომ თითქოს ყოველი ყოფილი საბჭოთა ქვეყანა სლავური იყო და მისი მოსახლეობა აუცილებლად საუბრობდა რუსულად. ამასთანავე, ბოშებს არ გააჩნდათ სამშობლო და ნებისმიერ ქვეყანაში უცხოდ მიიჩნეოდნენ, რაც მათ კიდევ უფრო არასასურველად ხდიდა. საუკუნეების განმავლობაში უფრო და უფრო დაგროვდა მათ მიმართ სიძულვილი, რის გამოც წარმოიშვა ანტი-ბოშური კანონები. მსგავსი კანონები კი უფრო გამკაცრდა ნაცისტური პარტიის მოსვლისას.

ხშირად ბოშებზე, როგორც ჰოლოკოსტის მსხვერპლზე, საუბრისას მწვავე დისკუსია მიმდინარეობს, უნდა ჩაითვალონ თუ არა ნაცისტური რეჟიმის პირდაპირ მსხვერპლად, როგორც ებრაელები. ბევრი ამბობს, რომ მთავარი მიზანი მაინც ებრაელების განადგურება იყო, რადგან რაოდენობრივად მათ უფრო მეტად იშორებდნენ, თუმცა თუ დავაკვირდებით ბოშების საწინააღმდეგოდ გაკეთებულ ქმედებებს, ძალიან ბევრ საერთოს ვნახავთ ებრაელებთან. საყურადღებოა, რომ მხოლოდ ებრაელებს, ბოშებსა და შავკანიანებს მოიხსენიებდნენ, როგორც უცხო სისხლის მქონეებს. ეს მიგვანიშნებს, რომ მათ მიმართ გამოხატული აგრესია წმინდად რასობრივი იყო. ამასთანავე ორივე ჯგუფისთვის შეიქმნა სპეციალური კანონები, რომელთა მიზანი არიელების მათგან გამიჯვნა იყო, რათა არ მომხდარიყო რასებს შორის აღრევა. ასევე ორივე რასას ჩამოერთვა სამოქალაქო უფლებები და ებრაელების მსგავსად, დაიწყო ბოშების სტერილიზაცია. მათი მოშორების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა არის მსგავსება ბროლის ღამესა (Kristal Nacht) და ბოშების გასუფთავების კვირას (Zigeuner-aufräumungs-woche) შორის, რომლის დროსაც ასობით ბოშა დააპატიმრეს გერმანიასა და ავსტრიაში. ამ ქმედებით მშვიდობიან მოსახლეობას მიეცა ერთგვარი ნიშანი, რომ ებრაელებისა და ბოშების მიმართ ცუდი მოპყობა დასაშვები იყო. 1937 წელს გერმანელმა ანთროპოლოგმა, ადოლფ ვურთმა, აღწერა ებრაელებსა და ბოშებს შორის მსგავსება და

განაცხადა, რომ ბოშების პრობლემაც ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც ებრაელების. 1942 წელს კი ანტისემიტური კანონები სრულიად გავრცელდა ბოშებზე.

ამ ქმედებებიდან აშკარა ხდება, რომ ბოშებიც პირდაპირი სამიზნეები იყვნენ, თუმცა ფაქტები ასევე გვაჩვენებს, რომ ებრაელებთან შედარებით გადარჩენილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია. ამის მიზეზი კი გეოგრაფიული ფაქტორი იყო. ისინი უფრო მეტად გერმანიის მოკავშირე ქვეყნებში ცხოვრობდნენ, სადაც ნაცისტური კანონები არ ვრცელდებოდა. მაგალითად დანიამ და ფინეთმა უარი განაცხადა როგორც ბოშების, ასევე ებრაელების დეპორტზე. თუმცა საფრანგეთში ბოშების მდგომარეობა უფრო რთული იყო, რადგან ისინი გერმანულის გარდა, ფრანგული აგრესიის მსხვერპლნი იყვნენ და მათი დაჭერა უფრო გამარტივდა.

საბოლოოდ, ნათლად ჩანს, რომ მართალია ებრაელები ნაცისტების პირველ სამიზნეებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ამასთანავე გერმანია ბოშების მოშორების შანსსაც არ უშვებდა ხელიდან, როგორც ეს საფრანგეთის შემთხვევაში დავინახეთ. თუ მათ ქმედებებს დავუკვირდებით, არ იქნებოდა გამორიცხული, რომ ებრაელების სრული მოშორების შემდეგ, მთავარი მსხვერპლი ბოშები გამხდარიყვნენ.

გერმანიაში ნაცისტები ბოშებს თვლიდნენ საშიშებად, იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში ასიმილირებული ბოშები არ იდევნებოდნენ.

პარაიმოსის (ბოშების ენაზე „განადგურება“) მსხვერპლთა სია ზუსტად არ არის დადგენილი, რადგან იმ დროს აღმოსავლეთ ევროპის ბოშათა ორგანიზაცია არ იყო ორგანიზებული და ძალიან ძნელია შეფასება მსხვერპლთა რაოდენობისა. და მაინც, თვლიან, რომ იგი მერყეობს 200 000-სა და 2 მილიონს შორის.

ჯგუფებს შორის ნაცისტური რეჟიმი და მისი პარტნიორები გამოირჩეოდნენ დევნაში ე.წ. რასობრივი ნიშნით.

ბევრი არანაცისტური გერმანელის მხარდაჭერით, რომლებიც ბოშების მიმართ სოციალურ ცრურწმენას ატარებდნენ, ნაცისტებმა ბოშა შეაფასეს, როგორც "რასობრივად დაქვემდებარებული". ბოშების ბედი გარკვეულწილად მსგავსი იყო ებრაელების ბედის. ნაცისტური რეჟიმის პირობებში, გერმანიის ხელისუფლებამ ბოშებ თვითნებურ ინტერნირებას, იძულებითი შრომასა და მასობრივ მკვლელობებს დაუქვემდებარა. გერმანიის ხელისუფლებამ მოკლა ათიათასობით ბოშა გერმანიის მიერ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირისა და სერბეთის ტერიტორიებზე და ათასობით სხვა მკვლელობის ცენტრებში აუშვიც-ბირკენაუში, ჩელმნოში, ბელზეკში, სობიბორში და ტრებლინკაში. SS-მა და პოლიციამ დააპატიმრეს ბოშები ბერგენ-ბელზენის, საქსენჰაუზენის, ბუხენვალდის, დახაუს, მაუტჰაუზენის და რავენსბრიუკის საკონცენტრაციო ბანაკებში. როგორც ეგრეთ წოდებულ დიდ გერმანიის რაიხში, ასევე ეგრეთ წოდებულ გენერალურ მთავრობაში, გერმანიის სამოქალაქო ხელისუფლება მართავდა რამდენიმე იძულებითი შრომის ბანაკს, რომლებშიც ისინი აპატიმრებდნენ ბოშებს.

1939 წლის 21 სექტემბერს რაიხის უშიშროების მთავარი ოფისის ხელმძღვანელი რაინჰარდ ჰეიდრიხი შეხვდა უსაფრთხოების პოლიციის (Sipo) და უსაფრთხოების სამსახურის (SD) წარმომადგენლებს ბერლინში. პოლონეთში შეჭრაში გერმანიის გამარჯვებით დარწმუნებულმა, მან განიზრახა 30 000 გერმანელი და ავსტრიელი ბოშას დეპორტაცია. გენერალურმა გუბერნატორმა ჰანს ფრანკმა, სამოქალაქო საოკუპაციო მთავრობის მაღალჩინოსანმა, ჩაშალა

ეს გეგმა, როდესაც 1940 წლის გაზაფხულზე უარი თქვა ბოშების და ებრაელების დიდი რაოდენობით მიღებაზე.

გერმანიის ხელისუფლებამ 1940 და 1941 წლებში დიდი გერმანიის რაიხიდან ოკუპირებულ პოლონეთში 1940 და 1941 წლებში გადაასახლა ბოშათა ნაწილი. გუბერნიაში SS და პოლიციამ ისინი დააპატიმრეს და იძულებითი შრომის ბანაკებში გაამწესეს. პირობები, რომლებშიც მათ უწევდათ ცხოვრება და მუშაობა, ბევრისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა. გადარჩენილთა ბედი უცნობია; სავარაუდოა, რომ SS-ებმა მოკლეს ისინი, ვინც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, ბელზეკის, სობიბორის ან ტრებლინკას გაზის კამერაში .

1941 წლის შემოდგომაზე, გერმანიის პოლიციამ ავსტრიიდან 5007 სინტი და ლალერი ბოშა გადაასახლა ლოძის ებრაელების გეტოში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ განცალკევებულად. ასობით ბოშა ტიფის ეპიდემიით გარდაიცვალა მათი ჩამოსვლიდან პირველ თვეებში, ადეკვატური საკვების, საწვავის, თავშესაფრისა და მედიკამენტების ნაკლებობის გამო. გერმანიის SS და პოლიციის ჩინოვნიკებმა გადაასახლეს ისინი, ვინც გადაურჩა ამ საშინელ პირობებში, ჩელმნოს მკვლელობის ცენტრში 1942 წლის პირველ თვეებში. იქ, ლოძის გეტოს ათიათასობით ებრაელ მცხოვრებთან ერთად, ბოშები დაიღუპნენ გაზის ფურგონებში.

ახლო მომავალში მათი დეპორტაციის განზრახვით ე.წ. დიდი გერმანიის რაიხიდან, გერმანიის ხელისუფლებამ ყველა ბოშა მოათავსა ე.წ. ბოშათა ბანაკებში. 1940 წელს ბოშათა დეპორტაციის შეჩერების შემდეგ, ეს დაწესებულებები გახდა გრძელვადიანი დაკავების ადგილებად. მარზანი ბერლინში, ლაკენბახთან და ავსტრიაში ზალცბურგთან ერთად, ამ ბანაკებს შორის ყველაზე უარესი იყო. საშინელი პირობების შედეგად ასობით ბოშა დაიღუპა. ადგილობრივი გერმანელები არაერთხელ უჩიოდნენ ბანაკებს და მოითხოვდნენ იქ ინტერნირებულ ბოშათა დეპორტაციას, რათა „დაეცვათ“ საზოგადოებრივი მორალი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ადგილობრივმა პოლიციამ ეს საჩივრები გამოიყენა, რათა ოფიციალურად მიმართა რაიხსფიურერ-SS-ის (SS-ის უფროსს) ჰაინრიხ ჰიმლერისთვის ბოშათა აღმოსავლეთში დეპორტაციის აღდგენის მიზნით.

1942 წლის დეკემბერში ჰიმლერმა გასცა ბრძანება დიდი გერმანიის რაიხიდან ყველა ბოშას დეპორტაციის. არსებობდა გამონაკლისები გარკვეული კატეგორიებისთვის, მათ შორის უძველესი დროიდან დათარიღებული „სუფთა ბოშათა სისხლის“ ადამიანები, ბოშათა წარმოშობის პირები, რომლებიც ითვლებოდნენ ინტეგრირებულად გერმანიის საზოგადოებაში და, შესაბამისად, არ იქცეოდნენ „ბოშებივით“ და პირები (და მათი ოჯახები), რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანიის სამხედრო სამსახურში. სულ მცირე 5000 და შესაძლოა 15000-მდე ადამიანი მოხვდა ამ გამონაკლისების ქვეშ, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად უგულებელყოფდა განსხვავებებს. პოლიციამ კი დააკავა და გადაასახლა ბოშა ჯარისკაცები, რომლებიც მსახურობდნენ გერმანიის შეიარაღებულ ძალებში (ვერმახტი), სანამ ისინი სახლში შვებულებაში იმყოფებოდნენ.

ქვემოთ მოყვანილი აქტივობების მიზანია მოსწავლეთა ცოდნის დადგენა ბოშების შესახებ, მათი ყურადღების გამახვილება სტერეოტიპებზე, ბოშების გენოციდის გაცნობა.

პირველი აქტივობა

გონებრივი იერიში „რა გსმენიათ ან იცით ბოშებზე?“

პასუხებში შეიძლება იყოს ბევრი სტერეოტიპული გამონათქვამი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს თვითონვე ამოიცნონ ისინი.

მეორე აქტივობა
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაიყონ 6 ჯგუფად/წყვილად, ურიგებს მათ თითო ტექსტს და აძლევს შემდეგ დავალებას:

- წაიკითხეთ ტექსტი;
- იმსჯელეთ ჯგუფში რა იყო თქვენთვის ახალი;
- მოძებნეთ (არსებობის შემთხვევაში) ტექსტში ბოშების დისკრიმინაციის მაჩვენებელი წინადადებები.
- რა ნახეთ საერთო ებრაელთა დისკრიმინაციასთან?
- გააცანით ტექსტის შინაარსი და თქვენი მოსაზრება თანაკლასელებს.

შენიშვნა მასწავლებლისთვის: ტექსტში დახრილად მოცემულია დისკრიმინაციის შემცველი წინადადებები.

ტექსტი პირველი ჯგუფისთვის

ბოშები ევროპაში

ბოშები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცხოვრები ხალხია. მათ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ (ინგლისელები: Gypsies – „ეგვიპტელები“, უნგრელები: Cig’any, ჰოლანდიელები: Heidens – „წარმართები“, ფინელები: Mustainen – „შავები” და სხვ.).

საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა მოიხსენიოს ყველა მათგანი საერთო სახელით „რომა“.

ბოშები ევროპელების მიერ ყოველთვის განიხილებოდნენ როგორც მათგან განსხვავებული ხალხი. ისტორიის დიდი პერიოდის განმავლობაში ისინი მოხეტიალეები იყვნენ, ერთი ადგილიდან გადადიოდნენ მეორეზე როგორც ხელოსნები, მუსიკოსები და მოვაჭრეები. ისტორიის მანძილზე ისინი იყვნენ ძალადობრივი ასიმილაციის საგანი; *ბოშების ენა აკრძალული იყო ზოგიერთ ქვეყანაში და შვილებს ძალით ართმევდნენ მშობლებს. ბოშები მონები იყვნენ ბევრ ქვეყანაში, ბოლო ქვეყანა იყო რუმინეთი სადაც მათი მონობა გაუქმდა 1856 წელს. ბოშებს არასოდეს ჰქონდათ სახელმწიფო და არასოდეს უბრძოლიათ სხვა ხალხის წინააღმდეგ. მე-20 საუკუნის განმავლობაში ისინი ითვლებოდნენ მაწანწალებად და ბევრ ქვეყანაში გამოცემული იყო კანონები, რომლებიც აიძულებდა მათ ერთ ადგილას დასასახლებას. დღეს, ბოშების საზოგადოება კვლავ არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის, დევნის და იზოლაციის საგანი ყველა ევროპულ ქვეყანაში.*

ტექსტი მეორე ჯგუფისთვის

ბოშათა წარმომავლობა

მიიჩნევა, რომ ბოშები წარმომავლობით ინდოეთიდან არიან. ბოშების წინაპრებს ინდოეთი პირველი ათასწლეულის ბოლოს უნდა დაეტოვებინათ. სავარაუდოდ, ისინი პირველად წინა აზიის (ირანის ტერიტორია), ეგვიპტისა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში განსახლდნენ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულისკენაც დაიძრნენ. XV-XVI საუკუნეებში ბოშები უკვე ევროპასა და ჩრდილო აფრიკაშიც სახლდებიან, XIX საუკუნეში კი ამერიკის კონტინენტსა და ავსტრალიაშიც. *ევროპაში ბოშების მიმართ თავდაპირველი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მალე მათი დევნით შეიცვალა. ბოშებს კანონგარეშე პირებად აცხადებდნენ და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ასახლებდნენ. პირველი ანტი-რომაული კანონმდებლობა გამოიცა მორავიის მარკაში*[1] *1538 წელს. 1545 წლისთვის აუგსბურგის სეიმმა გამოაცხადა, რომ "ვინც მოკლავს ბოშას (ბოშს), არ იქნება დამნაშავე მკვლელობაში"მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში 500 ათასზე მეტი ბოშა განადგურდა.* ომის შემდეგ ბევრმა მათგანმა მკვიდრი ცხოვრების წესი აირჩია. 1971 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბოშათა მსოფლიო კავშირი შეიქმნა, რომელიც ევროპის ბოშური ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებს.

ბოშები მთელ მსოფლიოში იბრძვიან თავიანთი სოციალური და კულტურული უფლებების დასაცავად, სურთ მათ მიმართ გულგრილად განწყობილ მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი დისკრიმინაციული და გაუსაძლისი მდგომარეობა დაანახონ.

მსოფლიოში მათი საერთო რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემით, 6-იდან 10 მილიონამდე მერყეობს. ბოშები უმეტესად უნგრეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიასა და რუსეთში სახლობენ. ბოშური ენა ინდოევროპული ოჯახის ინდო-არიულ ჯგუფს მიეკუთვნება, მას მრავალი დიალექტი აქვს. განსახლების პროცესში ბოშათა მრავალრიცხოვანი სუბეთნიკური ჯგუფებიც გაჩნდა: კელდერარები, ლოვარები, სერვები და სხვა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, 1989 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო სულ 1744 ბოშა. მათ შორის: თბილისში – მხოლოდ 53; აფხაზეთში – 412; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 126; ქუთაისში – 251; რუსთავში – 32. მაგრამ ეს მონაცემები დღეს უკვე არ ასახავს რეალობას. 2002 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალები ბოშების რაოდენობის შესახებ არაფერს გვაუწყებს.

ტექსტი მესამე ჯგუფისთვის

ბოშების საცხოვრებელი გარემო

ბოშები ერთიანდებოდნენ მომთაბარე ჯგუფებად, რომელთა წევრები შეიძლებოდა ნათესავები არ ყოფილიყვნენ. ბანაკი, როგორც წესი, 10-იდან 25 კარავს ითვლიდა. ნებისმიერ ოჯახს შეეძლო ბანაკს გამოყოფოდა. ბოშები, როგორც წესი, თავს გარკვეულ ე.წ. «როდოს», ორ-სამთაობიან დიდ ოჯახს მიაკუთვნებენ, რომელიც დიდი წინაპრის სახელს ატარებს. ჩვეულებრივ უპირატესობას მამის შტოს ანიჭებენ, თუმცა შესაძლებელია თავი

[1] მორავიის მარკა (ჩეხ. Markrabství moravské; გერმ. Markgrafschaft Mähren) — ქვეყანა რომელიც მდებარეობდა ცენტრალურ ევროპაში, მორავიის რეგიონში. დღეისთვის მისი ტერიტორიის უმეტესობა მოქცეულია ჩეხეთის შემადგენლობაში.

დედის გვარსაც მიაკუთვნო. არ არის აუცილებელი ერთ «როდოში» გაერთიანებული ადამიანები ერთ ადგილას, ერთად ცხოვრობდნენ.

დღევანდელი რუმინეთისა და მოლდოვას ტერიტორიაზე ბოშები ხუთი საუკუნის მანძილზე იყვნენ სახელმწიფოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და თავადების მონები. მე-19 საუკუნეში, ევროპული რევოლუციების გავლენით, დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რის შედეგად ბოშები გათავისუფლდნენ, მაგრამ არ მიუღიათ არანაირი მხარდაჭერა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

ტრადიციულად ოჯახის წყობა პატრიარქალური იყო. კაცები ხელშეუხებელი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ოჯახის უფროს წევრებს ხაზგასმულ პატივს სცემდნენ. გათხოვილი ახალგაზრდა ქალი «უწმინდურად» ითვლებოდა და სხვებთან ურთიერთობისას მრავალი აკრძალვა უნდა შეესრულებინა. ახალგაზრდა გოგონები შედარებითი თავისუფლებით სარგებლობდნენ. მათ ქალიშვილობის სიწმინდის დაცვა ევალებოდათ. მოხუც ქალებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ.

ბოშებში დაქორწინების საფუძველს გარიგება წარმოადგენდა. ბავშვები ხანდახან ჩვილობის ასაკშიც ინიშნებოდნენ. არსებობდა ქალიშვილების გაცვლის ტრადიციაც. როდესაც ქალს ათხოვებდნენ, საქმროს და ცოლად საცოლის ძმას მიჰყვებოდა. არსბობდა პატარძლის «ყიდვის» ტრადიციაც. გავრცელებული იყო მოტაცებით ქორწინებაც.

გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ბოშები მომთაბარეობდნენ. ამ დროს ისინი კარვებში ცხოვრობდნენ. კარვების შიდა მოწყობილობა მკაცრად იყო სტრუქტურირებული. «წმიდა» ნივთები: ხატები, მათრახი, სარკე, ჭურჭელი, ჩაიდანი განლაგებული იყო ერთ კუთხეში, შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს. ქალებს მათთან მიახლოება ეკრძალებოდათ.

ტექსტი მეოთხე ჯგუფისთვის

ბოშების საქმიანობა

შრომა კოლექტიური იყო, დოვლათი თანაბრად ნაწილდებოდა, მათ შორის მათზეც, ვისაც შრომა არ შეეძლო. ბანაკს ხელმძღვანელობდა ბელადი, როგორც წესი უფროსი თაობის ადამიანი, ვინც კარგად ფლობდა გარშემომყოფთა ენას. კონფლიქტებსა და სადავო საკითხებს განიხილავდა სასამართლო («სენდო»). მასში შედიოდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები. სენდოს გადაწყვეტილება უსიტყვოდ სრულდებოდა.

ბოშებში ყველაზე გავრცელებული საქმიანობა იყო ცხენებით ვაჭრობა, ქალებში — მკითხაობა; მისდევდნენ მჭედლობას, ხეზე კვეთას, საიუველირო საქმესა და სხვ. ბოშურ ოჯახში დღეში ერთხელ იკვებებოდნენ, როდესაც დედა სოფლიდან ან ქალაქიდან ბრუნდებოდა და სანოვაგე მოჰქონდა. ამ დროს სუფრასთან ბოშათა ბანაკის სხვა წევრებსაც პატიჟებდნენ. ერთობლივი ჭამა ბოშებისთვის სხვისი პატივისცემის, მეგობრობისა და თანასწორობის ნიშანია. გამასპინძლებაზე უარის თქმა შეურაცხყოფის მიყენების ტოლფასი იყო. დიდ დღესასწაულებზე ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ.

ნაციონალური ტრადიციული სადღესასწაულო საკვებია: ფქვილში მომზადებული კომბოსტოს, ბრინჯისა და ხორცის შეჭამადი («შახ ტულიარდო»), სქელი სუპი ხორცით, წიწაკითა და პომიდვრით («პაპრიკაში»), ხაჭოთი, ქიშმიშითა და შაქრით მომზადებული რულეტა («სავიაკო»).

ტრადიციული ბოშური ჩასაცმელი ქალებისათვის ე.წ. «შეუკერავი» ქვედაბოლოა, რომლის შეერთების ნაწილი თავში შემჭიდროებული წინსაფრით («კიტრინცი») იფარება. გათხოვილი ქალის სამოსის აუცილებელი ატრიბუტია თავსაფარი — ხშირად მონეტებჩაკერებული («მეჟედია»). ბოშა ქალებს ძალიან უყვართ სამკაულები, განსაკუთრებით, ოქროსი. კაცების სამოსია ფართო შარვალი, ჩექმები, პიჯაკი ვერცხლის ღილებით და ღია ფერის აბრეშუმის პერანგები.

ცენტრალურ ევროპაში ბოშებს ხშირად აიძულებდნენ ეცხოვრათ ქალაქების განაპირას ან ასახლებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებსაც იხდიდნენ და ჯარშიც მსახურობდნენ. ესპანეთი ატარებდა ასიმილაციის პოლიტიკას, ხოლო პორტუგალიამ და გაერთიანებულა სამეფომ მოახდინეს ბოშების დეპორტაცია ამერიკაში.მე-19 საუკუნეში ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ გამოსცა რეგულაციები, რომელთა თანახმად უკრძალავდა მათ გარკვეულ პროფესიებს, რაც უზღუდავდა მათ საარსებო საშუალების გამომუშავებას.

ტექსტი მეხუთე ჯგუფისთვის

რელიგია და რწმენა-წარმოდგენები

მორწმუნე ბოშები ევროპის ქვეყნებში ძირითადად კათოლიკეები არიან, რუსეთის ტერიტორიაზე — მართლმადიდებლები, ბალკანეთის ქვეყნებში — სუნიტი მუსლიმები. მათში გავრცელებულია აგრეთვე ტრადიცული რწმენა-წარმოდგენებიც. საქართველოში მცხოვრებ ბოშათა ნაწილი თავს მუსლიმად ან მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, თუმცა საქართველოში სხვა რელიგიური იდენტობის ბოშათა ჯგუფებიც არიან, მათ შორის ევანგელისტური აღმსარებლობის ქრისტიანები.

ფოლკლორი

ბოშები სახელგანთქმულნი არიან, როგორც კარგი მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები. მათი ფოლკლორი მეტად პოპულარულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სერბეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. ითვისებდნენ რა იმ ხალხების ფოლკლორულ ელემენტებს, ვის გვერდითაც ცხოვრობდნენ, ბოშებს ამ ქვეყნების კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეჰქონდათ. რუმინულ და უნგრულ სავიოლინო მუსიკასა და ესპანურ ფლამენგოში ნათლად იგრძნობა ბოშური ფოლკლორის გავლენა. საქართველოში ბოშათა ფოლკლორული ანსამბლები საკმაოდ იყო წახალისებული საბჭოთა კავშირის პერიოდში, თუმცა ამაჟამად საქართველოში ისინი აღარ მოქმედებენ.

ტექსტი მეექვსე ჯგუფისთვის

1930-იანი წლების კანონები

1920-იანი წლების შუახანებში გერმანიასა და ავსტრიაში რასობრივად მოტივირებული პოლიცია რეიდებს უწყობდა ბოშებს. ნაცისტური პროპაგანდა ხელს უწყობდა არსებული

სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გავრცელებას. 1936 წელს ვენაში „ბოშების პრობლემის“ წინააღმდეგ საბრძოლველად ცენტრალური სააგენტოც კი შეიქმნა. 1935 წელს, ნიურნბერგის კანონების თანახმად, ბოშებს გერმანიის მოქალაქეობა ჩამოერთვათ. 1938 წელს, იტალიაში შემოღებულ იქნა რასობრივი კანონები, რომლებიც მიმართული იყო ებრაელების და ბოშების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია მათი ინტერნირება და დეპორტაცია. ამის შემდეგ ბოშები გადაასახლეს საკონცენტრაციო ბანაკებში და ჩაბეს იძულებით შრომაში. მათ ხოცავდნენ ხევებში, ტყეებში, ტოვებდნენ სასიკვდილოდ დნესტრისპირეთისა და აუშვიცის მსგავს ბანაკებში. ჰოლოკოსტის დროს დაღუპულ ბოშათა ზუსტი რაოდენობა უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ის 250000-ს აღემატება.

რასიზმი ბოშების წინააღმდეგ არც ომის შემდეგ დასრულებულა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბოშების მიმართ არ არსებობდა საზოგადოების ინტერესი. მრავალი წლის განმავლობაში ისინი არ ითვლებოდნენ ჰოლოკოსტის მსხვერპლად და კომპენსაციაც ძალიან გვიან გაიცა. 1971 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბოშათა მსოფლიო კავშირი შეიქმნა, რომელიც ევროპის ბოშური ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებს.

ბოშები საქართველოში

ბოშების საქართველოში ჩამოსახლების ზუსტი ისტორიული თარიღი უცნობია. თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ ბოშათა მომთაბარე ჯგუფები საქართველოში პირველად XIX საუკუნის დამდეგს გამოჩნდნენ. მათ ძირითად საქმიანობას მცირე ვაჭრობა და მკითხაობა წარმოადგენდა. საქართველოში პირველად ხელისუფლება ბოშათა პრობლემებით 1921 წელს დაინტერესდა. მათთვის გამოიყო სპეციალური საცხოვრებელი ადგილები, შეიქმნა ბოშათა ანსამბლები, რომლებიც წარმოაჩენდა მათ ეროვნულ კულტურასა და ყოფას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ის, რომ ბოშებმა დაიწყეს საშუალო განათლების მიღება (რუსულ ენაზე). ბოშათა დიდი ნაკადი საქართველოში 1930-იან წლებში, ძირითადად, უკრაინიდან და მოლდოვიდან შემოვიდა. ისინი უმთავრესად შავი ზღვის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ ბოშათა მომთაბარე ცხოვრების სტილს, ამ პერიოდში ბოშებს საქართველოში შენარჩუნებული ჰქონდათ კულტურული იდენტობა და პოპულარიზაციას უწევდნენ თავიანთ კულტურულ ტრადიციებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბოშები ერთ-ერთი ყველაზე მარგინალური ჯგუფი გახდა საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა შორის. 90-იან წლებში ბევრმა ბოშამ დატოვა ქვეყანა და საცხოვრებლად უმეტესად რუსეთის ფედერაციაში გადავიდა. ამის მიზეზად, ერთი მხრივ, ეკონომიკური სიღუხჭირე და, მეორე მხრივ, *ნაციონალისტური იდეოლოგიის გააქტიურება სახელდება.*

ამჟამად ბოშათა უმრავლესობა დასახლებულია თბილისში, სადაც დაახლოებით 250-300 ადამიანი უნდა ცხოვრობდეს. ბოშები ცხოვრობენ აგრეთვე იმერეთში, აჭარაში, კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, როგორც პატარა სოფლებში, ასევე სხვა ტიპის დასახლებულ პუნქტებსა თუ ქალაქებში.

საქართველოში ბოშები უმთავრესად წვრილმანი ვაჭრობითა და მკითხაობით ირჩენენ თავს. ბოშათა უდიდესი ნაწილი საქართველოში უმუშევარია და მათხოვრობს.

მოკლე პრეზენტაციების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სტერეოტიპების არსებობაზე, ებრაელებისა და ბოშებისთვის ერთნაირი კანონების შემოღებაზე. აგრეთვე, მასწავლებელმა უნდა მიაქციოს მოსწავლეთა ყურადღება ძირითად განხვავებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ებრაელებს სურდათ საკუთარ ისტორიულ სამშობლოში სახელმწიფოს შექმნა, ხოლო ბოშებს ასეთი მისწრაფება არ გააჩნდათ.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას:

- როგორ გესმით, რას ნიშნავს ანტიბოშური რასიზმი?

პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი აცნობს IHRA[2]-ს მიერ შემოღებულ სამუშაო განმარტებას:

ანტიბოშური რასიზმი არის ინდივიდუალური გამონათქვამებისა და ქმედებების, აგრეთვე, მარგინალიზაციის, გარიყულობის, ფიზიკური ძალადობის, ბოშათა კულტურისა და ცხოვრების წესის გაუფასურებისა და სიძულვილის ენის გამოვლინება. *ეს ყოველივე უკავშირდება ბოშებსა და სხვა ჯგუფებს, რომლებიც არასწორად აღქმული და სტიგმატიზებულნი არიან. მათ დევნიდნენ ნაცისტების დროსაც და დღესაც, როგორც „ბოშებს“. მათ განიხილავდნენ და განიხილავენ დღესაც, როგორც უცხო ჯგუფს, რაც განაპირობებს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას და აკავშირებს მათ დამამცირებელ სტერეოტიპებთან და დამახინჯებულ სურათებთან, რომლებიც წარმოადგენს რასიზმის სპეციფიკურ ფორმას.*

მესამე აქტივობა

იმსჯელეთ ჯგუფებში:

- ირღვევა თუ არა დღეს ბოშათა უფლებები და თუ ირღვევა რომელი?
- როგორ არის შესაძლებელი ბოშათა მდგომარეობის გამოსწორება?
- ვის შეუძლია ამ მდგომარეობის შეცვლა?

მოსწავლეთა პასუხების მიღებისას იმართება დისკუსია. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას.

[2] IHRA - International Holocaust Remembrance Alliance -ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო ალიანსი. ეს არის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია. შედგება 35 წევრისა და 8 დამკვირვებელი ქვეყნისაგან.

ბიბლიოგრაფია

1. ბრანდერი, პ. კომპასი : სახელმძღვანელო. ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით / ავტ.: პატრიცია ბრანდერი, რუი გომესი, ელლი კინი და სხვ. ; თბილისი, 2004
2. ნესტიან-სანდუ, ო. წარსულის გაკვეთილები, ქმედება მომავლისთვის, TOLI, განათლებისა და კვლევების ცენტრი, 2024
3. ეთნოსები საქართველოში: კრებული / რედ. მერაბ ბასილია სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, საქ. სახალხო დამცველის ბიბ-კა . - თბ., 2008.
4. http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/boshebi.html